ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ

ლანსაროტეს კონვენცია

ბავშვის სექსუალური ძალადობისგან დაცვის გლობალური ინსტრუმენტი

ევროპის მშენებლობა ბავშვებისთვის და ბავშვებთან ერთად

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს გაძლიერება

სექსუალური ექსპლუატაცია და სექსუალური ძალადობა ბავშვზე ძალადობის ყველაზე მძიმე ფორმებია. ევროპაში, ყოველი ხუთი ბავშვიდან ერთი, სექსუალური ძალადობის რომელიმე ფორმის მსხვერპლია. არსებული მონაცემებით, შემთხვევათა დაახლოებით 80% - ში , მოძალადე ბავშვისთვის ნაცნობი პირია. ბავშვზე სექსუალური ძალადობა შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს, მაგალითად: სექსუალური ძალადობა ოჯახში ან ნდობის წრეში, სექსუალური ექსპლუატაცია პროსტიტუციის ან სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის მეშვეობით, სექსუალური ძალადობა ინტერნეტის მეშვეობით, და სექსუალური ძალადობა თანატოლების მხრიდან.

1990-იანი წლების შემდეგ, ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობის შემთხვევები მნიშვნელოვნად გაიზარდა. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის (CRC) 34-ე მუხლი ადგენს სახელმწიფოების ვალდებულებას დაიცვან ბავშვები ამ ფორმის ძალადობისგან. ბავშვის უფლებათა კონვენციის 2000 წელს მიღებული ფაკულტატური ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციის და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ კიდევ უფრო აძლიერებს ბავშვთა სამართლებრივ დაცვას სექსუალური ძალადობისგან და ამ დანაშაულების პრევენციას და ბავშვთა დაცვას სრულ სამართლებრივი ინსტრუმენტს უძღვნის.

ლანსაროტეს კონვენცია არის პირველი რეგიონალური ხელშეკრულება, რომელიც კონკრეტულად ეძღვნება ბავშვთა დაცვას სექსუალური ძალადობისგან. კონვენცია მიღებულ იქნა 2007 წელს ლანსაროტეზე, ესპანეთში. იგი ძალაში შევიდა 2010 წელს და მას ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ქვეყანამ მოაწერა ხელი.

ლანსაროტეს კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულები წარმოადგენს მინიმალურ კონსენსუსს, რაც ნიშნავს, რომ წევრი სახელმწიფოები უფლებამოსილნი არიან თავიანთი სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში უფრო მაღალი სტანდარტები დაამკვიდრონ. ასეთი სახის ჰარმონიზაციას მრავალი თვალსაზრისით შეუძლია სარგებელს მოტანა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ბავშვთა მიმართ დანაშაულებთან ბრძოლის საქმეში, მათ შორის:

- რისკის შემცირება, რომ დამნაშავეებმა სცადონ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა წევრ სახელმწიფოში, რომელსაც ნაკლებად მკაცრი წესები აქვს;
- მონაცემთა შედარების გაუმჯობესება ეროვნულ და რეგიონულ დონეზე; და
- საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა.

კონვენციის ნოვატორული ხასიათი

ლანსაროტეს კონვენცია არის მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი ბავშვზე განხორციელებული სექსუალური დანაშაულის თავიდან აცილების, დამნაშავეთა სასამართლო წესით დევნის და ბავშვი მსხვერპლების დაცვის მიმართულებით. ეყრდნობა რა არსებულ საერთაშორისო და რეგიონულ სამართლებრივ სტანდარტებს, კონვენცია კიდევ უფრო აფართოებს ამ სტანდარტების მოქმედების სფეროს, და უზრუნველყოფს მათ გავრცელებას ბავშვზე განხორციელებულ სექსუალურ დანაშაულებზე, იქნება ისინი ჩადენილი კომერციული მოგების მიღების მიზნით, თუ არა.

ბავშვთა დაცვა ამ კონვენციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. კონვენცია ყურადღებას ამახვილებს ბავშვთა უფლებების პატივისცემაზე, მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე, ბავშვთა შეხედულებებზე, საჭიროებებზე და პრობლემებზე რეაგირებაზე და ნებისმიერ დროს მათ საუკეთესო ინტერესებში მოქმედების აუცილებლობაზე.

ლანსაროტეს კონვენცია მოითხოვს სახელმწიფოებისგან, რომ მათ უზრუნველყონ ბავშვებისთვის ინფორმაციის მიწოდება ფორმალურ ან არაფორმალურ გარემოში, გაანათლონ ბავშვები სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობის რისკებზე და ასევე ასწავლონ ბავშვებს თუ როგორ შეუძლიათ მათ საკუთარი თავის დაცვა და დახმარების მოთხოვნა.

ლანსაროტეს კონვენცია არის პირველი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც მოითხოვს ბავშვის სექსუალური მიზნებით მოსყიდვის კრიმინალიზაციას (grooming- სექსუალურ ურთიერთობებზე დაყოლიება). მსგავსი სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევები, განსაკუთრებით ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ხელშეწყობით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში სწრაფად გაიზარდა, და შესაბამისად, ლანსაროტეს კონვენცია სახელმწიფოებისთვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს და ავალდებულებს მათ დაიცვან ბავშვები ამ ფორმის სექსუალური ძალადობისგან, და უზრუნველყონ დამნაშავეების სისხლისსამართლებრივი დევნა.

ითვალისწინებს რა, რომ ბავშვთა მიმართ სექსუალური დანაშაულები ხშირად ტრანსნაციონალური ხასიათისაა, ლანსაროტეს კონვენცია ადგენს "ექსტრატერიტორიულობის პრინციპს", რაც ნიშნავს, რომ წევრი სახელმწიფოს მოქალაქეების ან რეზიდენტების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება განხორციელდეს გარკვეული დანაშაულების შემთხვევაში მაშინაც კი, როდესაც ეს ქმედება საზღვარგარეთ არის ჩადენილი.

ლანსაროტეს კონვენცია მოუწოდებს სახელმწიფოებს შექმნან ინტერვენციის პროგრამები ან გაატარონ ზომები სექსუალური დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ, რომ თავიდან იქნეს აცილებული ბავშვის მიმართ განხორციელებული განმეორებითი დანაშაული. აუცილებელი არ არის, რომ ნებისმიერი მსგავსი ჩარევა წარმოადგენდეს სასჯელაღსრულების სისტემის სანქციის ნაწილს, სანაცვლოდ ის შეიძლება ჯანდაცვის და კეთილდღეობის სისტემების ნაწილს წარმოადგენდეს.

ლანსაროტეს კონვენცია ადგენს საერთო კრიტერიუმებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა ქვეყანაში ეფექტიანი, პროპორციული და გამჭვირვალე სისხლის სამართლის ჩარჩო დაინერგოს. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ გაზარდონ ხანდაზმულობის ვადა ბავშვზე განხორციელებული სექსუალური დანაშაულების შემთხვევაში, რათა სისხლის სამართალწარმოება წამოწყებული იქნეს მას შემდეგ, რაც მსხვერპლი სრულწლოვანების ასაკს მიაღწევს.

რას მოითხოვს კონვენცია სახელმწიფოებისგან?

ლანსაროტეს კონვენცია სახელმწიფოებისგან მოითხოვს კომპლექსურ რეაგირებას ბავშვთა მიმართ სექსუალური ხასიათის ძალადობაზე „**4 P-ს მიდგომის**“ მეშვეობით, რაც გულისხმობს შემდეგს: პრევენცია (Prevention), დაცვა (Protection), სისხლისსამართლებრივი დევნა (Prosecution) და ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა (Promotion).

პრევენცია

- ბავშვებს უნდა აუმაღლონ ცნობიერება სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობის შესაძლო რისკების შესახებ, და მათ უნდა ასწავლონ საკუთარი თავის დაცვა ამ რისკებისგან
- პირები, რომლებსაც ბავშვებთან კონტაქტი აქვთ, უნდა ჩაუტარდეთ შესაბამისი შემოწმება და სწავლება
- უნდა განხორციელდეს სექსუალური დანაშაულის ჩამდენი პირებისთვის (მსჯავრდებული, ან პოტენციური დამნაშავე პირები) არსებული ინტერვენციის პროგრამების ან ზომების, რეგულარული მონიტორინგი

დაცვა

- წახალისებული უნდა იქნეს სექსუალური ექსპლუატაციის ან სექსუალური ძალადობის ეჭვის თაობაზე განცხადება
- უნდა შეიქმნას სატელეფონო და ინტერნეტ დახმარების ხაზები
- უნდა დაინერგოს მსხვერპლთა და მათი ოჯახების მხარდაჭერის პროგრამები
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს თერაპიული დახმარების და გადაუდებელი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა
- უნდა დაინერგოს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პროცესი დაზარალებულის უსაფრთხოების, პირადი ცხოვრების პატივისცემის, ვინაობის და იმიჯის დაცვის მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვ დაზარალებულებთან გასაუბრების რაოდენობა შეზღუდული იყოს, და მათი გამოკითხვა ჩატარდეს წყნარ გარემოში, ამ მიზნით სპეციალურად მომზადებული პროფესიონალების მიერ.

სისხლისსამართლებრივი დევნა

ლანსაროტეს კონვენცია ადგენს, რომ კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფოში კრიმინალიზებული უნდა იყოს შემდეგი ქმედებები:

სექსუალური ძალადობა

გულისხმობს ზრდასრულს და ბავშვს შორის სექსუალურ ურთიერთობას. მაშინაც კი, თუ ბავშვი ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ სექსუალური ურთიერთობებისთვის დაშვებული ასაკს მიაღწევს, ეს მაინც სექსუალურ ძალადობად მიიჩნევა, თუ ზრდასრული პირი მიმართავს ძალას, იძულებას, ან მუქარას, ან თუ იგი ცდილობს მოიპოვოს ბავშვის ნდობა, ან გავლენა იქონიოს მასზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, თუ საქმე დაუცველ ბავშვს ეხება.

ბავშვთა პროსტიტუცია - სექსუალური ექსპლუატაცია პროსტიტუციის მეშვეობით

ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის ფორმა, როდესაც ხდება ბავშვის მომზადება, დაყოლიება ან იძულება მისი პროსტიტუციაში ჩართვის მიზნით ფულის (შეპირების), ან სხვა ფორმით ანაზღაურების სანაცვლოდ. ეს ასევე მოიცავს ბავშვის ამ მიზნებში გამოყენებისგან სარგებლის მიღებას, იქნება ეს პირდაპირი, თუ ირიბი სარგებელი.

ბავშვის პორნოგრაფია - ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალები

გულისხმობს ნებისმიერ მასალას, რომელიც ვიზუალურად ასახავს ბავშვის მონაწილეობას რეალურ ან დადგმულ სექსუალურად აღმგზნებ ქმედებაში ან ბავშვის სასქესო ორგანოს ნებისმიერ გამოსახულებას უპირატესად სექსუალური ვნების დაკმაყოფილების მიზნით. სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება ასეთი მასალების დამზადება, შეთავაზება, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, გავრცელება ან გადაცემა, როგორც საკუთარი, ისე სხვების სარგებლობის მიზნით, ან სხვა პირისთვის მოპოვება, ფლობა, ან შეგნებულად მოპოვება.

ბავშვის პორნოგრაფიულ წარმოდგენებში მონაწილეობასთან დაკავშირებული დანაშაული - ბავშვის ექსპლუატაცია პორნოგრაფიულ წარმოდგენებში მონაწილეობის მიზნით

მოცემული სისხლის სამართლის დანაშაული გულისხმობს ბავშვის მომზადებას, იძულებას ან დაყოლიებას პორნოგრაფიულ წარმოდგენებში მონაწილეობაზე, ან ბავშვის ამგვარ წარმოდგენებში მონაწილეობისგან სარგებლის მიღებას. ეს ასევე მოიცავს ბავშვების მონაწილეობით შესრულებულ პორნოგრაფიულ წარმოდგენაზე შეგნებულად დასწრებას.

ბავშვების გარყვნა

გულისხმობს ისეთ ფაქტს, როდესაც ბავშვს, რომელსაც არ მიუღწევია სექსუალური ურთიერთობებისთვის დადგენილი ასაკისათვის, უბიძგებ დაესწროს სექსუალური ხასიათის ქმედებებს. ეს არ ნიშნავს, რომ ბავშვს პირადად უწევს ამაში მონაწილეობის მიღება. თავად ის ფაქტი, რომ ბავშვი ამგვარი ქმედებების მოწმე ხდება, სისხლის სამართლის დანაშაულად უნდა იქნეს აღიარებული.

ბავშვების დაყოლიება სექსუალური მიზნებისათვის

მოცემული სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც ცნობილია როგორც “grooming” - სექსუალურ ურთიერთობებზე დაყოლიება, გულისხმობს სრულწლოვანი პირის მიერ ბავშვისთვის, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია სექსუალური ურთიერთობებისთვის დაშვებული ასაკისათვის, შეხვედრის განზრახ შეთავაზებას მასთან სექსუალური ურთიერთობების დამყარების, ან მისი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით. ლანსაროტეს კონვენციაში კონკრეტულად არის მითითებული, რომ ასეთი შეთავაზება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ხორციელდება, და დამნაშავე ცდილობს არსებითი ქმედებების განხორციელებას, რათა პირადად შეხვდეს ბავშვს. მიუხედავად ამისა, ლანსაროტეს კომიტეტმა, რომლის მანდატში შედის კონვენციის ინტერპრეტაცია, რეკომენდაცია მიაწოდა წევრ სახელმწიფოებს, რომ მათ ასევე მოახდინონ ისეთი ქმედებების სისხლის სამართლის დანაშაულად აღიარება, როდესაც სექსუალური ადევნება არ დასრულდა პირისპირ შეხვედრით, არამედ მხოლოდ ონლაინ ურთიერთობით შემოიფარგლა.

ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის ხელშეწყობა

ეროვნულ დონეზე კონვენცია ხაზს უსვამს ქვეყნების მასშტაბით ინტეგრირებული, ეფექტური, კოორდინირებული და ყოვლისმომცველი პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას.

საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობა ხელს უწყობს ქვეყნების მიერ პრობლემების იდენტიფიცირებას და ანალიზს, და მათი გადაწყვეტის გზების დასახვას, ასევე მონაცემების და გამოცდილების გაზიარებას, დაუსჯელობასთან ბრძოლას, პრევენციული და დაცვის ღონისძიებების უფრო ეფექტიან გატარებას.

ლანსაროტეს კონვენციის განხორციელების მონიტორინგი

კონვენციის მხარეთა კომიტეტი, ასევე ცნობილი როგორც ლანსაროტეს კომიტეტი, წარმოადგენს ორგანოს, რომელიც შეიქმნა წევრი სახელმწიფოების მიერ პრაქტიკასა და კანონმდებლობაში კონვენციის ეფექტური განხორციელების მონიტორინგის მიზნით.

მონიტორინგის პროცედურა იყოფა რაუნდებად, და თითოეული რაუნდი ეძღვნება კონკრეტულ თემატურ სფეროს, და მონიტორინგი ერთდროულად ყველა სახელმწიფოში ხორციელდება. მონიტორინგი მიზნად ისახავს ლანსაროტეს კონვენციის კონკრეტული ასპექტის ყველა წევრ სახელმწიფოში ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობას. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს კარგი პრაქტიკის გაზიარებას და არსებულ კანონმდებლობაში ან პოლიტიკაში ხარვეზების ან პრობლემების გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა. მონიტორინგი საშუალებას აძლევს კომიტეტს განახორციელოს კონვენციის წევრ სახელმწიფოებში კონვენციის განხორცილების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შედარება.

ლანსაროტეს კომიტეტის მანდატში ასევე შედის ინფორმაციის შეგროვების, ანალიზის და გაცვლის ხელშეწყობა, და ქვეყნებს შორის გამოცდილების და კარგი პრაქტიკის გაზიარების უზრუნველყოფა ბავშვების სექსუალურ ექსპლუატაციისა და ბავშვზე სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ პრევენციის და ბრძოლის სფეროში მათი შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. ამ ფუნქციების განხორციელებისას ლანსაროტეს კომიტეტი თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოებასთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, და უზრუნველყოფს ფართო და ინტერაქტიულ პლატფორმას შესაძლებლობების განვითარებისთვის.

როგორ შეიძლება გამოყენებული იქნეს ლანსაროტეს კონვენცია სახელმწიფოებში, რომლებიც არ არიან ევროპის საბჭოს წევრები

ბავშვზე სექსუალური ძალადობა მსოფლიოში გავრცელებული ფენომენია. ლანსაროტეს კონვენცია შემუშავდა იმ მიზნით, რომ ამ გლობალურ პრობლემასთან დაკავშირებული ზომების გატარება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კონკრეტული გეოგრაფიული არეალით. ამიტომაც, კონვენცია ღიაა ნებისმიერი ქვეყნისთვის მისაერთებლად.

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ყველა ფორმაზე ფართო ნაციონალური რეაგირების მიზნით, ლანსაროტეს კონვენცია სთავაზობს მთავრობებს სახელმძღვანელო მითითებებს და შთააგონებს მათ გადაჭრან ეს სერიოზული პრობლემა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის გაძლიერების გზით.

კონვენცია ასევე წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის ადვოკატირების ერთგვარ საფუძველს, მთავრობების მხრიდან ბავშვზე სექსუალური ძალადობის ყველა ფორმაზე რეაგირების გასაუმჯობესებლად.

ლანსაროტეს კონვენციის განხორციელება ხელს უწყობს ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას - მსოფლიო ლიდერების მიერ ბავშვზე ძალადობის, ექსპლუატაციის, ტრეფიკინგისა და ძალადობის ყველა ფორმის დასრულებას 2030 წლისთვის, რაც წარმოადგენს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაწილს.

ბავშვთა უფლებები ევროპის საბჭოში:
▶ **www.coe.int/children**

საკონტაქტო ინფორმაცია:
▶ **children@coe.int**

ლანსაროტეს კონვენციის ვებგვერდი:
▶ **www.coe.int/children/lanzarote**

საკონტაქტო ინფორმაცია:
▶ **lanzarote.committee@coe.int**

Prems 025819 – Photos: Shutterstock, Council of Europe, Cover photo: ©Zev Hoover

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE